საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქი ფოთი

№ **04/498**

23 / აპრილი / 2019 წ.

KA000076744411219

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირისა და მოხელეებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილება მიენიჭოთ: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს პაატა ლაგვილავას, მალთაყვის უბანში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს უჩა დოლიძეს, ცენტრის უბანში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს ზაზა ღადუას, კუნძულის უბანში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს სანდრო ქუშაშვილს, ნაბადის უბანში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს ზურაბ ბერაიას.

მუხლი 2. უჩა დოლიძის სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს მალთაყვის ადმინისტრაციული ერთეული, ზაზა ღადუას სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს ცენტრის ადმინისტრაციული ერთეული, სანდრო ქუშაშვილის სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს კუნძულის ადმინისტრაციული ერთეული, ხოლო ზურაბ ბერაიას სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს ნაბადის ადმინისტრაციული ერთეული.

მუხლი 3. აღნიშნული ბრძანების მე-2 მუხლში მითითებულმა პირებმა მოამზადონ და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს წარუდგინონ ბრძანების პროექტები (დამოწმებული მათივე ხელმოწერით).

მუხლი 4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის, ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა ილო სალაყაიამ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ქონების მართვის განყოფილების უფროსმა გიორგი ხაჟომიამ, ქონების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა ნიკა კორშიამ, ამავე განყოფილებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირმა მერი ლოლუამ, იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა გიორგი აბშილავამ, ხელი შეუწყონ და შესაბამისი დახმარება აღმოუჩინონ აღნიშნული ბრძანების მე-2 მუხლში მითითებულ პირებს.

მუხლი 5. ბრძანებაში მითითებული თანამდებობის პირების და საჯარო მოხელეების სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში, მათი უფლებამოსილების განხორციელება, წინამდებარე ბრძანების საფუძველზე, უზრუნველყონ იმ საჯარო მოხელეებმა, რომლებიც შეასრულებენ დროებით არმყოფი თანამდებობის პირისა და საჯარო მოხელეების მოვალეობას.

მუხლი 6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირისა და მოხელეებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2018 წლის 03 დეკემბრის N 04/393 ბრძანება.

მუხლი 7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3). მუხლი 8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გოჩა კურდღელია